პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 263 (19704) | სამშაბათი, 18 ნოემბერი, 1986 წელი. | ◆ ფასი 3 კაპ.

## გუშინ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას დაიწყო სსრ კავშირის მეთოთხმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია.



სურათზე: გაერთიანებული სხდომა.

საკადრო-საქინფორმის ტელეფოტო.

# კურსია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება

### სსრ კავშირის მეთოთხმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

**მარშზე,** წინსვლის, ძიებისა და განახლების ატმოსფეროში ამოდგრებს საბჭოთა ხალხი მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელიწადს. მტკიცედ ადგანან რა სკკპ XXVII კონგრესის კურსს, ჩვენი პარტია და ხალხი მოამთხოვნელად და რეალისტურად აფასებენ მიღწეულს, ნოვატორულად უდგებიან იმას, რაც უნდა გააკეთონ, რათა ოქტომბრის სამშობლო კიდევ უფრო მდიდარი და ძლიერი გახდეს.

მხარი დაუჭირონ ყოველივე მოწინავეს, პოზიტიურს, განსაზღვრონ ახალი მიდგომა სახალხო მეურნეობის, მთლიანად ქვეყნის ცხოვრების საკვანძო პრობლემების გადაწყვეტისადმი — ეს მიაჩნიათ თავიანთ ამოცანად დეპუტატებს, რომლებიც სსრ კავშირის მეთოთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიაზე შეიკრიბნენ. იგი გიისსა 17 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში პალატების გაერთიანებული სხდომით.

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ნ. ა. ალიევს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, დ. ა. კუნაევს, ი. კ. ლიგაჩოვს, ნ. ი. რიჟკოვს, ფ. ს. სოლოდუნოვს, ნ. ა. შევარდნაძეს, ვ. ვ. შჩერბიცკის, ვ. მ. ჩებრიკოვს, ა. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. სოლოდუნოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. ბ. ბირიუკოვს, ა. თ. დობრინინს, ვ. ა. მედვედევს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. ა. რაზუმოვსკის, ი. ვ. კაპიტონოვს.**

სხდომა გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ე. ვოსმა.**

ერთხმად მტკიცდება სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი. განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმა და 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.
2. სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.
3. სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საქმიანობა.
4. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.
5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

დეპუტატები გადადიან სესიის დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვაზე. სიტყვა მოხსენებისათვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმისა და 1986 წელს გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს დეპუტატ **ნ. ვ. ტალიზინს.**

მოხსენებით სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1985 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ გამოვიდა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი დეპუტატი **ბ. ი. გოსტევი.**

სიტყვა გამოსვლისათვის ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს დეპუტატ **გ. ი. მარჩუკს.** 1987 წლის გეგმას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია განიხილავს ჩვენი ეკონომიკის საერთო გარდაქმნის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პერსპექტივების პოზიციიდან, თქვა მან.

1987 წლის გეგმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი ასახავს და ავითარებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითად კონცეფციებს, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის დარგების გასვლას ტექნიკისა და ტექნოლოგიის უმაღლეს მიჯნებზე.

კომპლექსურ ავტომატიზაციასთან ერთად უმაღლესი სახალხო-სამეურნეო ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა წარმოებაში თანამედროვე უახლესი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვით. ამიტომ გეგმის პროექტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს წარმოებაში მასალების ლაზერული, პლაზმური, რადიაციული და იმპულსური დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების, ფხვნილთა მეტალურგიისა და სხვათა ათვისებას. ამ ტექნოლოგიებს უწინარეს ყოვლისა ათვისებენ დართგშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები.

გეგმის პროექტში დიდი ყურადღება დაეთმო აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებს.

გ. ი. მარჩუკმა დიდი ყურადღება დაუთმო ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული გამოკვლევების განვითარებასა და გამოყენებას. სახელმწიფო გეგმის პროექტი შეიცავს ბევრ დავალებას, რომლებიც ითვალისწინებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და სასწავლებლების მეცნიერთა მიერ შემუშავებული ტექნიკის, მასალებისა და ტექნოლოგიების პრინციპულად ახალი თაობების დანერგვას. აკადემიური სამეცნიერო დაწესებულებების დაახლოებით 300 დასრულებული დიდი ნამუშევარი და უმაღლესი სასწავლებლების 400 ნამუშევარი დაინერგება სახალხო მეურნეობის დარგებთან უშუალო კავშირის საფუძველზე.

მთელი ორგანიზაციულ-სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ამოცანებმა აკადემიის მართვის სტრუქტურისა და სისტემის გარდაქმნა მოითხოვა, აღნიშნა ორატორმა. იზრდება მისი ძირითადი რგოლის — მეცნიერებათა აკადემიის სპეციალიზებულ განყოფილებათა როლი, იხვეწება ინსტიტუტების სტრუქტურა.

ტრიბუნაზეა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ს. ა. შალაევი.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკავშირო პროფსაბჭომ შრომითი კოლექტივების ყველაზე მნიშვნელოვანი წინადადებები წარუდგინა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ფინანსთა სამინისტროს და ეს წინადადებები აისახა სახელმწიფო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტებში.

დეპუტატმა თქვა, რომ ხუთწლედის მეორე წლის გეგმის რეალიზაცია მართვის ყველა რგოლისაგან, ყოველი შრომითი კოლექტივისაგან მოითხოვს დაძაბულ მუშაობას, ყველა რეზერვის მობილიზაციას, საქმისადმი შემოქმედებითს მიდგომას.

ყველაზე დეფიციტური პროდუქციის წარმოების დამატებითი რესურსების მიღება შეიძლება შემხვედრი გეგმების მეშვეობით. უკვე 800-ზე მეტმა კოლექტივმა მიიღო შემხვედრი გეგმები, რომლებიც აღემატება ხუთწლედის დავალებს მომავალი წლისათვის.

მაგრამ საქონლსა და მომსახურებაზე მოსახლეობის მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება გეგმის პროექტით ჯერ გათვალისწინებული არ არის, და ამ პრობლემის გადაჭრა კვლავ რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

გაისად დასახულია შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესების ახალი დიდი ღონისძიებების განხორციელება.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს, თქვა დეპუტატმა, თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ ახალ დონეზე აიყვანონ სოციალისტური შეჯიბრება, გაწმინდონ იგი ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის დანაშრევებისაგან, მშრომელთა შორის ორგანიზატორული, საწარმოო-მასობრივი, ეკონომიკური და ალმზრდელობითი მუშაობის ყველა ფორმით გააძლიერონ ზეძოქმედება ეკონომიკაზე, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაზე.

ამით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების პირველი გაერთიანებული სხდომა დაიხურა.

## ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

**14 საათზე** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომათა დარბაზში დაიწყო კავშირის საბჭოს პირველი სხდომა.

(დასასრული მე-3 გვ.).

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მომხდარი საანგარიშო მონაცემების დამახინჯებისა და წამატებების ფაქტების საკითხი.**

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს (ყოფილი მინისტრი გ. პ. გამცემლიძე, მინისტრის მოადგილე მ. თ. თენიეშვილი) მუშაობაში ფეხმოკიდებული ყოვლისმომტევებლობისა და ლიბერალიზმის პრაქტიკის, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის (მეორე მდივანი დ. დ. მელქაძე) და საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის (პირველი მდივანი მ. ნ. ფაჩუაშვილი) საქმიანობაში უპრინციპობის, გაწყვეტილობის ვითარების შექმნის შედეგად შესაძლებელი გახდა სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევები ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში (ყოფილი დირექტორი გ. დ. გოგლიჩიძე, დირექტორი ო. ვ. ბალანჩივაძე, პარტკომის მდივანი ნ. კ. ტუღელაშვილი).

**საქართველოს კომპარტიის** ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით კომუნისტი ხელმძღვანელისათვის შეუთავსებელი მოქმედებისათვის, რაც წამატებები და მათი დამალვით გამოიხატა, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების დირექტორი ო. ვ. ბალანჩივაძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან და განთავისუფლდა თანამდებობიდან.

წამატებათა ფაქტების ლიბერალური განხილვის, უკონტროლობისა და წაყრუების ვითარების შექმნის, დისციპლინის შესუსტების, სისტემაში სათანადო სახელმწიფო წესრიგის დაუმყარებლობისათვის, რასაც მოჰყვა წამატებების ფაქტები ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, არაგულწრფელობისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის ყოფილი მინისტრი გ. პ. გამცემლიძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

გამოვლენილ წამატებათა ფაქტებისადმი უპრინციპო დამოკიდებულების, რევიზიათა ვადების და მათი მასალების განხილვის სისტემატური გაჭიანურების, კადრების განაწილებაში არსებული ნაკლოვანებებისათვის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსი, სკკპ წევრი ნ. გ. ბალაფორია გირიცხა პარტიიდან და განთავისუფლდა თანამდებობიდან.

მუშაობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და უკონტროლობისათვის, რასაც მოჰყვა უხეში დარღვევები ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსს, სკკპ წევრს მ. ა. ხადიბაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით. იგი განთავისუფლდა თანამდებობიდან.

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში სათანადო მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად ქმედითი ზომების მიუღებლობის, უპრინციპობის, არაგულწრფელობისათვის საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის პირველ მდივანს მ. ნ. ფაჩუაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური

### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

# პასუხს აგებენ წამატებებისათვის

ამის საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის ყოფილი მინისტრი გ. პ. გამცემლიძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

ამისთვის, რომ არ განახორციელა მკაცრი სახელმწიფო წესრიგის დამყარების, იმ მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო წამატებებსა და დამახინჯებებს ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში, ლიბერალიზმისათვის საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანს დ. დ. მელქაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით.

ცნობად მიიღო რა, რომ მ. თ. თენეშვილი 1985 წლის დეკემბერში გათავისუფლეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მისი პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადასცა საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომს.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტს (ამხ. ტ. ვ. ლორთქიფანიძე), პარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომს (ამხ. მ. ნ. ფაჩუაშვილი) დაევალათ განეხილნენ ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტკომის მდივნის ნ. კ. ტუღელაშვილის და შესაბამისი პარტიული კომიტეტებისა და საწარმოო გაერთიანების სხვა მუშაკთა საკითხი, რომლებმაც გამოიჩინეს უკონტროლობა და წაყაყოფეს წამატებების, თვალის ახვევის ფაქტები.

აბრეშუმის მრეწველობის განყოფილების ყოფილი გამგის (ლ. ი. დოლიძე), საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგებლობის სამმართველოს ყოფილი უფროსის (ა. დ. მიქაბერიძე), საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს ყოფილი უფროსი რევიზორის (ვ. მ. კაკარია) პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი განსახილველად გადაეცა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, პირველად პარტიულ ორგანიზაციას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მკაცრად გააფრთხილა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი, სკკპ წევრი ბ. ზ. მაყაშვილი და მისი ყურადღება მიაპყრო ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის კოლეგიისა და აპარატის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. მას დაევალა გააანალიზოს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ წარდგენილი სტატისტიკური ანგარიშგებლობის ობიექტურობა და დაამყაროს სათანადო სახელმწიფო წესრიგი ამ საქმეში.

ცნობად არის მიღებული, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში წამატებების საკითხი, რის შედეგადაც თანამდებობიდან გათავისუფლეს სამინისტროს აბრეშუმის მრეწველობის განყოფილებისა და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგებლობის სამმართველოს უფროსები (ლ. ი. დოლიძე, ა. დ. მიქაბერიძე), გაერთიანების მთელი რიგი პასუხისმგებელი მუშაკები. ქალაქ ქუთაისის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში მომზდარი წამატებების ფაქტის გამო.

გადაწყდა, რომ მასალები, რომლებიც ეხება სსრ კავშირის სახსტანდარტის რუსეთის რესპუბლიკურ სამმართველოში პარტიულ აღრიცხვაზე მყოფი კომუნისტის გ. დ. გოგლიჩიძის პასუხისმგებლობას ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში გამოვლენილი წამატებებისათვის, გაეგზავნოს სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტს.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს მიეთითთთ, რომ საჭიროა სათანადო კონტროლი დაუწესონ, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მკაცრი სახელმწიფო წესრიგის უზრუნველყოფას, გაბარდონ მომხოვნელობა კადრებისადმი, რეგიონების გარეშე არ დატოვონ საყოველთაოდ მიღებული ნორმებისა და წესების დარღვევის არც ერთი ფაქტი, გააძლიერონ ბრძოლა წამატებებისა და თვალის ახვევის წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს დაევალათ სისტემატურად დაიბმაონ საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნაში, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში, ისეთი პატიოსანი, პრინციპული სპეციალისტებით მათს განმტკიცებაში, რომლებსაც სრულად აქვთ შეგნებული პარტიული მოვალეობა.

(საქინფორმი)

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

**ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ** ამერიკაში მოვლენების განვითარება სულ უფრო საშიშ ხასიათს იძენს. უხეშად არღვევს რა საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია სულ უფრო მეტად და აშკარად ერევა ნიკარაგუის საქმეებში. ამასთან ვაშინგტონში არ მალავენ, რომ მიზნად ისახავენ ამ სუვერენული, დამოუკიდებელი ქვეყნის კანონიერი მთავრობის დამბობას.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს დაქირავებულთა კონტრრევოლუციური ბანდების დაფინანსების, მათთვის სხვადასხვა სახეობის შეიარაღების მიწოდების შესახებ. უფრო მეტიც, არსებითად გათვალისწინებული შეერთებული შტატების სამხედრო პერსონალის უშუალო მონაწილეობა მათს მოქმედებაში. ამერიკის ოფიციალური პრესა განდა ინტენსიურად ამუშავებს საკუთარ და საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს ამ მიზნით, რომ შესაფერი ატმოსფერო შეუქმნას ნიკარაგუის წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო აქციების გეგმების რეალიზაციას.

ამერიკის შეერთებული შტატების ამგვარი გეზი საერთაშორისო მართლწესრიგის აშკარა აბუჩად აგდებაა. ამერიკის ადმინისტრაციამ ანგარიში არ გაუწია საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც მოითხოვა შეწყდეს ნიკარაგუის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხელყოფა, უგულებელყოფს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს, მოუმხრობლობის მოძრაობის მკაფიოდ გამოხატუფ პოზიციას. არ სურს ყურად იღოს თავისი ლათინურამერიკელი მეზობლების აზრიც. ვაშინგტონი სისტემატურად ფუშავს კონტადორული პროცესის ფარგლებში ცენტრალურ ამერიკაში ვითარების ურთიერთმისაღები პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევისათვის გამიზნულ მათს კონსტრუქციულ ღონისძიებებსაც. ამით სულ უფრო შიშვლდება მისი დიდმპყრობელური პრეტენზიები იპარპაშოს ლათინური ამერიკის ქვეყნებში, როგორც მოესურვება, მათი ხალხებისა და მთავრობების ნების, მათი იმ მსწრაფვების მიუხედავად, რომ განსაზღვრონ თავიანთი ბედ-იღბალი, საკუთარი ტრადიციების, რწმენისა და ყველაზე ღირსეული ცხოვრების წესის შესახებ წარმოდგენების გათვალისწინებით.

საბჭოთა კავშირში იზიარებენ მსოფლიო გაერთიანების კანონიერ შეშფოთებას ცენტრალურ ამერიკაში ახლანდელ აფეთქებასაშიშ სიტუაციასთან და საერთაშორისო მშვიდობისათვის მის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით. საბჭოთა მთავრობა გმობს ცენტრალურ ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის ესკალაციას, მოითხოვს ბოლო მოეღოს დანაშაულებრივ მზადებას ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდებს თავშეკავების, რეალისტისა და პასუხისმგებლობისათვის.

საბჭოთა კავშირი სოლიდარობით ეკიდება კონტადორის ჯგუფის საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მისი მხარდამჭერი ჯგუფის ამა წლის 1 ოქტომბრის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ რწმენას, რომ მშვიდობა ცენტრალურ ამერიკაში შესაძლებელია. ამისათვის უწინარეს ყოვლისა უნდა შეწყვიტონ ჩარეცა რეგიონის სუვერენულ სახელმწიფოთა საქმეებში, პატივი სცენ საქმით მათს უფლებას დამოუკიდებლად მოახდინონ არჩევანი, მოაგვარონ მათი კეთილმეზობლური ურთიერთობა და თანაშრომლობა, გაუწიონ დახმარება საარსებო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში.

სსრ კავშირი მხარს უჭერს კონტადორული პროცესის კონსტრუქციულ მიზნებს, რათა მალე ღწეულ იქნეს პრეგიონალური კრიზისის ლათინურამერიკული გადაწყვეტა, და მზად არის პრაქტიკულად შეუწყოს ხელი ცენტრალურ ამერიკაში ვითარების სამართლიანი პოლიტიკური მოწესრიგების სასიკეთო პირობების შექმნაში.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ცდილობს ნიკარაგუის მიმართ თავისი ინტერვენციონისტული მოქმედება გამართლოს მტკიცებებით, თითქოს ამ ქვეყანაში „იზრდებოდეს საბჭოთა საბჭოური ყოფნა“. საბჭოთა მთავრობა მტკიცედ უარყოფს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ ამგვარ მტკიცებებს. იგი მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ სსრ კავშირს არ შეუქმნია და არც ქმნის ნიკარაგუაში არავითარ სამხედრო ბაზას.

საბჭოთა კავშირი კვლავ ადასტურებს, რომ მტკიცედ სოლიდარობს ნიკარაგუელი ხალხის სამართლიან საქმეს, მზად არის კვლავაც, გაუწიოს მას დახმარება და მხარდაჭერა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

# სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმა და 1986 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა

ოფიციალური

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო გეგმის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ვ. ტალიზინის მოხსენება

**სსრ** კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია ღირსშესანიშნავ დროს მიმდინარეობს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა, სკკპ XXVII ყრილობის საპროგრამო მითითებათა საფუძველზე დაწყებული ჩვენი საზოგადოების ყოველმხრივი გარდაქმნის პროცესი ძალას იკრებს, იძენს მეტ გაქანებასა და სიღრმეს. პარტიის მიერ შემუშავებულ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების თვისებრივი ცვლილებების კურსს იწონებს და მხარს უჭერს ჩვენი ხალხი, როგორც მისი ერთსულოვანი ნების გამოხატულებას.

მსოფლიოს ხალხებისათვის ახლობელი და გასაგებია საბჭოთა კავშირის აქტიური საგარეო პოლიტიკა, მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ბირთვული და კოსმოსური იარაღის აკრძალვისა და ლიკვიდაციისათვის გამიზნული უდიდესი საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები. ისინი შეესაბამებიან მათს საარსებო ინტერესებს, ამიტომაც მთლიანად უჭერენ მხარს მათ ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში, ბევრ სხვა სახელმწიფოში, მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

დასახული მიზნების მიღწევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცვლილებას ეკონომიკაში. პარტიამ შეიმუშავა დიდი გარდაქმნების სტრატეგია და შეუდგა მათს რეალიზაციას.

წინსვლის ტემპი ჩქარდება რეზერვების მაქსიმალური ამოქმედების, საწარმოო პოტენციალის უკეთ გამოყენების, მასების ინიციატივისა და შემოქმედების გადიდების, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების გზით.

ამავე დროს ხორციელდება სახალხო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქცია, გარდაიქმნება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები, ყალიბდება ახალი სამეურნეო მექანიზმი.

1986 წლის 10 თვის გეგმის შესრულების შედეგები მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანების შრომითი მეცადინეობის, პარტიის დიდი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება ხორცს ისხამს. მიღწეულია სწრაფი ტემპი სახალხო მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგში. მიღწეულია ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო წარმოების ყველაზე დიდი ზრდა ოთხმოციან წლებში.

წარმოებული ეროვნული შემოსავალი გადიდდა 4,3 პროცენტით, სამრეწველო წარმოების მოცულობა — 5,1 პროცენტით. ამით ეკონომიკა ხუთწლედის უკვე პირველ წელს უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით გადის ხუთწლიანი გეგმის საშუალოწლიურ დავალებათა დონეზე.

მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, ესე იგი, დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს სახალხო მეურნეობაში, თავიანთი განვითარებით მნიშვნელოვან უსწრებენ საერთოდ მრეწველობას. ფართოდ ფასდება ყველაზე თანამედროვე ტექნიკის გამოშვება. გაუმჯობესდა ინდუსტრიის საბაზო დარგების — მეტალურგიის, ქვანახშირის, ნავთობის მრეწველობის მუშაობა. სრულდება ყველა სახეობის ტრანსპორტით ტვირთზიდვის დავალებანი.

აგროსამრეწველო კომპლექსში გადიდდა მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და სახელმწიფო შესყიდვა.

გაიზარდა კაპიტალური მშენებლობის ტემპი. ჩქარდება მოქმედი წარმოების რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. ამ მიზნით გამოყოფილია თითქმის 25 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე შარშან.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გადიდდა 4,8 პროცენტით, მაშინ, როცა წლიური დავალება 4,1 პროცენტ ზრდას ითვალისწინებს. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია პროდუქციის მატების 95 პროცენტი.

ხორციელდება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. მნიშვნელოვნად გაიზარდა საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მასშტაბი.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვს ყველა მოკავშირე რესპუბლიკას.

ამავე დროს მთელ რიგ დარგებში, ბევრ შრომითს კოლექტივში ახალზე გადასვლა ნელა ხორციელდება, თვისებრივი გარდატეხა ჯერჯერობით აქ არ დამდგარა. „უდავოა, — აღნიშნა კრასნოდარის მხარის პარტიულ აქტივთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, — იზრდება გარდაქმნის პროცესი, ადამიანთა შემოქმედებითი ძიება. უფრო ენერგიულად მოქმედებს ყველა რგოლი და ეშელონი. მაგრამ, აშანაგები, ჯერ კიდევ შორსა ვართ ნამდვილ შემობრუნებამდე, რომელიც გვქონდა, რათა მივაღწიოთ პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახულ სტრატეგიულ მიზნებს“.

არსებული რეზერვების გამოყენების, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის საქმიანობის გაუმჯობესების, შრომითი კოლექტივების როლის გაძლიერების საფუძველზე სწრაფი ტემპის უზრუნველყოფასთან ერთად უფრო გადაჭრით უნდა განვახორციელოთ გარდაქმნა, სულ უფრო მეტად ავამოქმედოთ ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი სტრატეგიული ფაქტორები. საქმე ეხება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, წარმოების სტრუქტურის გაუმჯობესებას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, რესურსდაზოგვას, სოციალური პოლიტიკის გააქტიურებას. უმნიშვნელოვანესი ამოცანა ხდება გადასვლა ცალკეული დიდი გარდაქმნებიდან მეურნეობრიობისა და მართვის მთლიან ახალ სისტემაზე, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი წარმოების ყველა დონესა და რგოლს.

სწორედ ასეთი პოზიციიდან უდგებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო 1987 წლის გეგმის ფორმირებას.

შეეხო რა 1987 წლის გეგმის თვისებურებებს მეურნეობრიობის ახალ პირობებში, დეპუტატმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა შემუშავებულია სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და 1986 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმის დავალებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების წინადადებების გათვალისწინებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 30 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა 1987 წლის გეგმის პროექტი და ძირითადად მოიწონა იგი. აღინიშნა, რომ მთავარი ყურადღება მასში დაეთმო მიმდინარე წელს ეკონომიკაში მიღწეული პოზიტიური ძვრების განმტკიცებასა და განვითარებას, საზოგადოებრივი წარმოების ზრდის გრძელვადიანი ფაქტორების უფრო სრულ ამოქმედებას. იგი შეესაბამება ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებისათვის გამიზნულ სკკპ XXVII ყრილობის კურსს, მეთორმეტე ხუთწლედის დავალებებს. მისი მნიშვნელოვანი ღირსებაა ის სოციალურ ღონისძიებათა კომპლექსის გათვალისწინებული განხორციელება, რომლებიც მოიცავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარეს.

მომავალ წელს ექნება უდიდესი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მთლიანად ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. ეს არის სოციალისტური მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ფართო გამოყენების წელი. ახალ პირობებში იმუშავებს მთელი ინდუსტრია, აგროსამრეწველო კომპლექსი, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება. დაიწყო სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა შრენებლობასა და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.

გრძელდება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა. სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების პირობებზე გადადიან ხუთი სამრეწველო საკავშირო სამინისტრო, სხვა სამინისტროების მთელი რიგი დიდი გაერთიანებები და საწარმოები, აგრეთვე სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრო და ვაჭრობა. მტკიცდება გაერთიანებებისა და საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოების, შრომითი კოლექტივების ინიციატივის განვითარების კურსი. იქმნება წარმოების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითფინანსების შემცირების უფრო სწრაფი ტემპის მიღწევის პირობები.

ახალი სამეურნეო მექანიზმის მოთხოვნების შესაბამისად გეგმას საფუძვლად დაედო გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდენ გაერთიანებებისა და საწარმოების განვითარებისა და მატერიალური სტიმულირების საქმიანობის საბოლოო შედეგებს. წარმატებით მომუშავე კოლექტივები იღებენ მეტ შესაძლებლობას მოქმედი წარმოების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციისათვის, მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის, სოციალ ურ საკითხთა გადაწყვეტის ა თ ვ ი ს. გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობისა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი ხდება.

პარტიისა და მთავრობის იმ კურსის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებებისა და საწარმოების დამოუკიდებლობის თანამიმდევრულ გაფართოებას, წინათ გეგმაში დირექტიულად დამტკიცებული მაჩვენებლების დიდი ნაწილი დასაგეგმად გადაეცემათ სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკებს ან უშუალოდ გაერთიანებებსა და საწარმოებს. სახელმწიფო გეგმაში შენარჩუნებულია უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები, ლიმიტები და ნორმატივები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკისადმი ქმედით ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას.

არსებითი ნაბიჯი გადაიდგა იმ გზაზე, რომ დავძლიოთ „მთლიანი მაჩვენებლითი“ მიდგომა როგორც დაგეგმვაში, ისე გაერთიანებებისა და საწარმოების საქმიანობის შეფასებაში. 1987 წლიდან მრეწველობაში ძირითადი მაჩვენებელი იქნება სახელშეკრულებო ვალდებულებათა 100-პროცენტიანი შესრულება. ხელშეკრულებების შესრულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეფასებითი მაჩვენებელი ხდება აგრეთვე კაპიტალურ მშენებლობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. და ეს გასაგებია, ხელშეკრულ ე ბ ა თ ა მთლიანი შესრულება ეკონომიკის მატერიალური შეწონასწორების, სახალხო მეურნეობის მუშაობის სტაბილურობისა და რიტმულობის საფუძველია.

დიდი ყურადღება დაეთმო მუშაობაში ეგრეთ წოდებული „ხარჯვითი“ მიდგომის აღმოფხვრას. ამას ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის მოგების განაწილების ნორმატიულ მეთოდზე გადასვლა, კოლექტივების სოციალური და საწარმოო განვითარების გადამწყვეტ წყაროდ მისი გადაქცევა.

დაძლეულია აგრეთვე „მიღწეულისაგან“ დაგეგმვისადმი მიდგომა. 1987 წლის ზრდის ტემპი დადგენილია ხუთწლედის დავალებათა გათვალისწინებით 1986 წლის გეგმის საფუძველზე, და არა მოსალოდნელი შესრულების საფუძველზე, როგორც ეს წინათ ხდებოდა. 1987 წლისათვის პროექტები მიღებულია ხუთწლედის დავალებათა დონეზე.

სინამდვილეში ახალი მიდგომა ხუთწლიან გეგმას აქცევს დაგეგმვის ძირითად ფორმად. უზრუნველყოფს მის სტაბილურობას, ქმნის ამით სახელშეკრულებო ეკონომიკური ნორმატივების გამოყენებით მაქსიმალური ეფექტის მიღწევის პირობებს. მორე მხრივ, საშუალებას აძლევს წარმატებით მომუშავე კოლექტივებს გამოავლინონ და აამოქმედონ გეგმის შესრულების დროს ყველა რეზერვი, უზრუნველყონ მისი გადაჭარბებით შესრულება ისე, რომ არ ჰქონდეთ მომავალი წლებისათვის ბაზის ხელოვნურად გადიდების შიში.

ამის დამაჯერებელი დადასტურებაა ნავთობის, გაზის, ნავთობგადამუშავებელი, ქვანახშირის მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ხე-ტყის, ცელულოზა ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, სატყეო მეურნეობის, საშენ მასალათა მრეწველობის, რკინიგზის ტრანსპორტის შრომითი კოლექტივების მიერ პროდუქციის მოპოვება-წარმოებისა და ტვირთის გადაზიდვის შემხვედრი გეგმების მიღება. მათ მაგალითს სხვა დარგების შრომელებიც მიბაძავენ.

1987 წლის გეგმის შემუშავებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წლის პირველივე დღეებიდან ყველა დარგის მუშაობის ზუსტი რიტმის უზრუნველყოფას. ბოლო წლების, მათ შორის მიმდინარე წლის პრაქტიკა, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, მოწმობს, რომ სსრ კავშირის ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, გაერთიანებები და საწარმოები ხშირად პირველი თვეებისა და კვარტალებისათვის აწესებენ შემცირებულ გეგმებს, აგრეთვე უსაფუძვლოდ ასწორებენ გეგმის დავალებებს შემცირების მიზნით. ეს უარყოფითის გავლენას ახდენდა მუშაობის რიტმულობაზე, სტიმულს არ აძლევდა წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის არსებულ შესაძლებლობათა გამოყენებას, ძირს უთხრიდა მატერიალური და მორალური წახალისების პრინციპებს, იწვევდა სახალხო მეურნეობაში დისპროპორციასა და შეუწონასწორებლობას.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნო გაზარდოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების პასუხისმგებლობა კვარტალების მიხედვით წლიური გეგმის დავალებათა საფუძვლიანი, თანაბრად დაძაბული განაწილებისათვის, ხოლო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებსა — თვეების მიხედვით კვარტალის დავალებათა გეგმაზომიერი განაწილებისათვის, მათი სტაბილურობისათვის.

1987 წლის გეგმაში გაძლიერებულია ხუთწლედის კურსი, რომელიც ითვალისწინებს დავალებების შედგენას დიდი სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისა და ერთგვაროვანი დარგების ჯგუფების მიხედვით. ასეთი მიდგომა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივ ორგანოებს საშუალებას აძლევს აქტიურად მონაწილეობდნენ გეგმის შემუშავებაში, უზრუნველყოფდნენ მისი შესრულების მიმდინარეობისად მ ი უფრო ქმედითს კონტროლს.

ეკონომიკური განვითარებ ი ს სოციალურ მიმართულებათა გაძლიერების შესახებ სკკპ XXVII ყრილობის მითითების განსახორციელებლად 1987 წლის გეგმაში სრული მოცულობით პირველად არის შემუშავებული კომპლექსური სოციალური ნაწილი, რომელიც მოიცავს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასა და რეალიზაციას. მოსახლეობის ფასიანი მომსახურების სისტემის განვითარებას, სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავალ ი ს ბალანსებს ქვეყანაში და მოკავშირე რესპუბლიკებში.

ამრიგად, 1987 წლის გეგმა მიზნად ისახავს მთელი სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ადამიანის ფაქტორის უფრო სრულ გამოყენებას. გეგმის შესრულების წარმატება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სწრაფად გადაერთვება მართვის ზედა დონე — სამინისტროები, უწყებები — ეკონომიკურ მეთოდებზე, რამდენად გადაჭრით დაეშვება სამეურნეო ანგარიში ქვემოთ — საამქროებში, ბრიგადებში, წარმოებაში.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კადრების ეკონომიკური აზროვნების გარდაქმნა, თითოეული მუშაკის მიერ ეკონომიკასა და საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე ძირეული ცვლილებების არსის ღრმა გაგება, მუშაობის ახალი სტილისა და მეთოდების პრაქტიკული განხორციელება.

შემდეგ მომხსენებელმა ჩამოაყალიბა 1987 წლის გეგმის ზოგადეკონომიკური დახასიათე ბ ა, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1987 წლისათვის დასახული უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლე ბ ი შეესაბამება ხუთწლიანი გეგმის დავალებებს და უზრუნველყოფს, რომ ეკონომიკამ მიაღწიოს გათვალისწინებულ ზრდის საშუალო წლიურ ტემპს. დასახულია ღონისძიებანი, რათა საჭირო დონეზე იყოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

წარმოებული ეროვნული შემოსავალი 4,1 პროცენტით გაიზრდება 1986 წლის გეგმით გათვალისწინებული 3,9 პროცენტის ნაცვლად, მრეწველობის პროდუქცია — 4,4 პროცენტით შესაბამისად 4,3 პროცენტის. ნაცვლად.

1987 წელს ეკონომიკის განვითარებას საფუძვლად დაედება ინტენსიური ფაქტორების უფრო სრული გამოყენება. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 4 პროცენტით გადიდდება. მრეწველობაში იგი გაიზრდება 4,4 პროცენტით, მშენებლობაში — 3,8 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტზე — 4,6 პროცენტით. მატერიალური სფეროს დარგებში ერთვნული შემოსავლის, პროდუქციისა და სამუშაოების პრაქტიკულად მთელი მატების მიღწევა დასახულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

გათვალისწინებულია დავძლიოთ საწარმოო პოტენციალის დაძვეულების ნეგატიური ტენდენცია. მრეწველობის მოქმედ საწარმოებში ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ძირითადი ფონდების შეცვლა თითქმის მესამედით გაიზრდება. დასახულია ამოცანა მკვეთრად გავაუმჯობესოთ ძირითადი ფონდების გამოყენება.

ქვეყანაში იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომ საწარმოები და ორგანიზაციები გადავიყვანოთ მუშაობის 2-3-ცვლიან რეჟიმზე, უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტა უშუალოდ მიზნად ისახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გათვალისწინებული პარტიის სტრატეგიის პრაქტიკულ რეალიზაციას. ასეთი შრომის რეჟიმი მხოლოდ მეტალურგიაში, ქიმიასა და მსუბუქ მრეწველობაში როდი უნდა იყოს ნორმა. მრავალცვლიან მუშაობაზე გადასვლა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ შექმნილი პოტენციალი, დავზოგოთ ახალი მშენებლობის სახსრები და მოვამზადოთ ისინი საწარმოთა რეკონსტრუქციასა და სოც ი ა ლ უ რ ი სფეროს განვითარებას.

ცვლიანობის გადიდებას უნდა მოჰყვეს კონკრეტული ეკონომიკური შედეგები — პროდუქციის წარმოების ზრდა, შრომის ნაყოფიერების გადიდება, თანამედროვე დიდმწარმოებლური მოწყობილობის სრული დატვირთვა, არსებული საწარმოო ფართობების უკეთ გამოყენება, ახალი საწარმოების შესაქმნელად კაპიტალდაბანდებათა შემცირება.

ეკონომიის რეჟიმის განმტკიცებამ, მეურნეობის მომზირნე გაძღოლით შრომითი კოლექტივების დაინტერესების გაძლიერებამ საშუალება მოგვცა დაგვესახა თვითღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება და მოგების მატება. ეს მაჩვენებლები შეესაბამება ხუთწლედის დავალებებს. მაგრამ მათი გაუმჯობესების შესაძლებლობანი დიდია. მკვეთრად უნდა შემცირდეს წამგებიანი საწარმოებისა და მეურნეობების რაოდენობა, მათ შორის აგროსამრეწველო კომპლექსში. პარტია მოითხოვს სრულყოფთ ეკონომიკური მუშაობა სახალხო მეურნეობის უკლებლივ ყველა რგოლში.

პრაქტიკულად ეს უნდა. გამოიხატოს ნედლეულისა და მასალების უმკაცრესი დაზოგვით. გეგმაში რესურსების დაზოგვას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მნიშვნელოვნად იზრდება მეორეული ნედლეულის გამოყენება. ამის შედეგად 1987 წლისათვის ოდენობით. შემოსავლის გადამწყვეტი წყაროა შემოსულობანი სოციალისტური მეურნეობისაგან. ისინი ბიუჯეტის მთელი სამოსახელმწიფო ბიუჯეტის ცხრა მეათედს შეადგენს. სახელმწიფოს ფულადი დაგროვების ჩამოყალიბებაში, გაერთიანებებისა და საწარმოების ფინანსური ბაზის განმტკიცებაში გაიზრდება მოგების როლი. მთლიანად სახალხო მეურნეობაში იგი 200 მილიარდ მანეთს მიაღწევს. პრინციპულად დიდმნიშვნელოვანია, რომ ამ თანხის 40 პროცენტზე მეტი შრომითს კოლექტივებს დარჩებათ წარმოების განვითარებისა და სოციალური საჭიროებებისათვის.

ბიუჯეტში მოსახლეობის გადასახადებში სახელმწიფო გადასახადები შეადგენს 32,4 მილიარდ მანეთს, ანუ მთელი სამოსახელმწიფო ბიუჯეტო რესურსების 7,4 პროცენტს. მთლიანად განთავისუფლდა გადასახადებისაგან პენსიები, სხვადასხვაგვარი სახელმწიფო დაზმარება. რაც შეეხება უშრომელ შემოსავალს, მის წინააღმდეგ წარმოებს და კვლავაც იწარმოებს შეურიგებელი ბრძოლა.

შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მიმართულებანი. ბიუჯეტის ამოცანა ეს ეკონომიკის ეფექტიანობა, ეფექტიანი ინვესტიციები, ეფექტიანი ფინანსური ბაზა, ეფექტიანი ფულადი ბრუნვა, ეფექტიანი ფასები, ეფექტიანი ეკონომიკური ბერკეტები, ეფექტიანი ეკონომიკური ინტერესები, ეფექტიანი ეკონომიკური ინფორმაცია, ეფექტიანი ეკონომიკური ანგარიშგება, ეფექტიანი ეკონომიკური ანალიზი, ეფექტიანი ეკონომიკური ეფექტიანობა.

ეფექტიანობა ეს ეფექტიანი ეკონომიკა, ეფექტიანი ეკონომიკა ეს ეფექტიანი ბიუჯეტი, ეფექტიანი ბიუჯეტი ეს ეფექტიანი ეკონომიკა, ეფექტიანი ეკონომიკა ეს ეფექტიანი ეკონომიკა, ეფექტიანი ეკონომიკა ეს ეფექტიანი ეკონომიკა.

ეფექტიანობა ეს ეფექტიანი ეკონომიკა, ეფექტიანი ეკონომიკა

# სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1985 წლის ბიუჯეტის შესრულება

(დასასრული)

მილიტარისტული იმპერიალისტური წრეებისაგან მომდინარე საშიშროების საფრთხე, ჩვენი შეიარაღებული ძალები მიიღებენ იმდენ სახსრებს, რამდენიც საჭიროა ქვეყნის საიმედო თავდაცვითუნარიანობის უზრუნველყოფისათვის. სსრ კავშირის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში თავდაცვისათვის ასიგნებანი გათვალისწინებულია 20,2 მილიარდი მანეთის ოდენობით.

მრეწველობაში მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები გამოიყოფა დარგებისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მთელი საწარმოო პოტენციალის თვისებრივ გარდაქმნას.

უპირატესი ტემპით ფინანსდება მანქანათმშენებლობა — 11,5 პროცენტი. განსაკუთრებული ზრუნვის საგანია . სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი. მას ხმარდება ინდუსტრიაში სახელმწიფო დაბანდებათა ყოველი მეოთხე მანეთი.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში, რომლებზეც მომავალი წლიდან გადადის მთელი მრეწველობა, დაფინანსების ძირითადი წყაროდ ება გაერთიანებებისა და საწარმოების საკუთარი დაგროვება, უწინარეს ყოვლისა მოგება. 1987 წლის გეგმით იგი გათვალისწინებულია 119,7 მილიარდი მანეთის ოდენობით.

გეგმისა და ბიუჯეტის დავალებებში მკაფიოდ ჭარხლდება ყველა სახეობის რესურსების გამოყენების ძირეული გაუმჯობესების მიმართულება. ამ გზით დასახულია მოგების მატების ნახევარზე მეტის მიღება.

ეკონომიის ქმედითი რეზერვია, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ნედლეულის, მასალების, მზა პროდუქციის ბრუნვის დროის შემცირება. ამ ამოცანის გადაწყვეტას შეუნელებელი კონტროლი უნდა დაუწესოთ.

1987 წელს დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ მრეწველობის საწარმოო ფონდების ტექნიკური განახლებისა და მოდერნიზაციისათვის, ისევისაც დაახლოებითად 50 მილიარდი მანეთი გამოიყოფა. სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, დარგების ფინანსების განმტკიცებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის ძიებას. ულ გაუმჯობესებას. ძლიერდება საქმის ამ მხარეზე ფინანსური ზემოქმედება. წუნით გამოწეული დანაკარგები, მისი აღმოფხვრის ხარჯები პირდაპირ გავლენას მოახდენს ეკონომიკური სტიმულირების ფონდებზე.

აგროსამრეწველო კომპლექსში მატერიალური და ფინანსური რესურსები უმთავრესად ხმარდება სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის დავალებათა რეალიზაციას. ასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ამასთან დაკავშირებული დარგების განვითარებას მოხმარდება 166 მილიარდი მანეთი, ანუ სახალხო მეურნეობაში მთელ დაბანდებათა მესამედზე მეტი.

უმთავრესი ყურადღება ეთმობა სამეურნეოანგარიშებრივი ურთიერთობის განმტკიცება-განვითარებას. ამ მიზნით ძირეულად იცვლება ფინანსების ორგანიზაცია: მათი ჩამოყალიბება მთლიანად ნორმატიულ ბაზაზე გადადის. დეტალური რეგლამენტაციისაგან თავისუფლდება მოგების განაწილება. მისი 46,5 მილიარდი მანეთი საერთო თანხიდან 75 პროცენტი მეურნეობებში რჩება.

სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია 58 მილიარდი მანეთი დოტაცია ძირითად სახეობათა სურსათის შესასყიდი და საცალო ფასების განსხვავების ანაზღაურებისათვის. ყოველ მეურნეობას შეუძლია მიიღოს შემოსავალი წარმოების ზრდის, ხარჯების შემცირების, რესურსების გონივრული ხარჯვის გზით.

დიდი რესურსები გამოიყოფა სამშენებლო კომპლექსის განვითარებისათვის. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებისათვის საერთო ხარჯი 172,4 მილიარდ მანეთს მიაღწევს.

საინვესტიციო პროცესის ინტენსიფიკაციას, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, ხელი უნდა შეუწყოს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, ძირითადი ფონდების უსწრაფესი ამოქმედებით ეკონომიკური დაინტერესების შექმნის, მშენებლობის ღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებმა. სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციები გადადიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე, ფართოდება მათი უფლებები, იზრდება პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგებისათვის.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგებში ფინანსური დაბანდებანი უზრუნველყოფს წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის, მუშაკთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების პროგრამას. ამ დარგებში ხარჯების საერთო თანხა 31,3 მილიარდი მანეთია.

1987 წლის 1 იანვრიდან ყველა რკინიგზა გადადის ბელორუსიის რკინიგზაზე მოწყობილი ექსპერიმენტის დროს აპრობირებულ მუშაობის სისტემაზე, რის მეობებიც ხუთწლედის დამლევისათვის დაიზოგება მილიარდ მანეთზე მეტი. სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადადის სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრო.

სახელმწიფო ბიუჯეტი მიზნად ისახავს სკკპ XXVII ყრილობის მიერ წამოყენებული დიდი მასშტაბის სოციალური პროგრამის თანამიმდევრულ შესრულებას. ბიუჯეტში მოცემულია სოციალური სფეროს განვითარებისათვის სახსრების ჩამოყალიბებისა და გამოყენებისადმი ახალი მიდგომა, დაძლეულია რესურსების გამოყოფის ნაშთური პრინციპი.

მნიშვნელოვნად მატულობს ხარჯები საწარმოთა სახსრების გამოყენებით მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. დიდი ღონისძიებებია დასახული შრომის ანაზღაურების — მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროს სრულყოფის მიზნით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესაბამისად მეთორმეტე ხუთწლედში საწარმოო დარგების 75 მილიონი მუშა-მოსამსახურისათვის შემოღებული იქნება ახალი სატარიფო განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები. სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია იმის რესურსებიც, რომ დამთავრდეს სახალხო განათლების მუშაკების ხელფასის მოწესრიგება, გაიზარდოს ჯანმრთელობის დაცვის ცალკეული კატეგორიების სპეციალისტთა შრომის ანაზღაურება, დაიწყოს მისი გადიდება კულტურის დაწესებულებებში.

დიდი რესურსები გამოიყოფა სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის გაუმჯობესებისათვის. ამ სახსრების ხარჯზე პენსიები ეძლევა 58 მილიონ კაცს. წინათ დანიშნული პენსიები უდიდდება კოლმეურნეთა უმრავლესობას. კვლავაც გაიზრდება ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარება. ახლა წარმოიტს ბავშვობიდან ინვალიდებისათვის დახმარების ოდენობის გადასინჯვა. მომუშავე დედებს გაეზრდებათ ავადმყოფი ბავშვის მოვლის ანაზღაურებული პერიოდის ხანგრძლივობა.

1987 წლის გეგმა და ბიუჯეტი აფართოებენ სამომხმარებლო საქონლის წარმოებისა და გაყიდვის გადიდების, ფასიანი მომსახურების გაწევის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და მანეთის მყიდველობითი უნარის გადიდების ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებს.

საცალო საქონლებრუნვა გაიზრდება 20 მილიარდი მანეთითა და მეტად. 9,5 პროცენტით გადიდდება მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობა.

მომავალი წლიდან მეურნეობრიობის ახალი მექანიზმი ინერგება ვაჭრობასა და სამომხმარებლო კოოპერაციაში. შეიქმნა ეფექტიანი ბერკეტი, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს საქონელბრუნვის სტრუქტურასა და მოცულობაზე მყიდველთა მოთხოვნების შესაბამისად. ფულადი მიმოქცევის განმტკიცებაში, საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევასთან ფულადი შემოსავლის შეწონასწორებაში იზრდება ადგილობრივი საბჭოების როლი. უფრო აქტიურად უნდა იმოქმედოს ამ მიმართულებით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკმა.

ბიუჯეტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბინაო მშენებლობის, სოციალურ-კულტურული სფეროს დაჩქარებულ განვითარებას. საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის დაფინანსების ყველა წყაროს მიზედვით გამოიყოფა 32 მილიარდი მანეთი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა მეტი ოდენობით, ვიდრე გათვალისწინებული იყო 1987 წლისათვის ხუთწლედის დავალებებით. საცხოვრებელი სახლების შენახვისა და რემონტისათვის გამოიყოფა 6 მილიარდი მანეთი სახელმწიფო დოტაცია.

ბიუჯეტისა და საწარმოთა ხარჯები განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის დაფინანსებისათვის 143,3 მილიარდ მანეთს მიაღწევს, რაც 10,9 მილიარდი მანეთით მეტია მიმდინარე წლის ხარჯებზე.

მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი სახსრებით ზოგადსაგანმანათლებო და პროფესიული სკოლის რეფორმის, უმაღლესი სკოლის ცალკეთარების ყველა ღონისძიება. ეს ეხება კულტურისა და ხელოვნების ორგანიზაციებსაც.

წლის დამლევისათვის ნებაყოფლობით დაზღვევის ხელშეკრულებათა რიცხვი მიაღწევს 200 მილიონს, ესე იგი სამუალოდ ოჯახზე მოვა 2,5 ხელშეკრულება. მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში წლის დამლევისათვის უნდა იყოს 260 მილიარდი მანეთის ოდენობით.

სამრეწველო წარმოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე მწვავედ დგას გარემოს დაცვის საკითხები. 1987 წელს ბუნების დაცვის ღონისძიებებისათვის ბიუჯეტიდან და საწარმოთა სახსრების ხარჯზე გამოიყოფა დაახლოებით 10 მილიარდი მანეთი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში რესპუბლიკების ბიუჯეტები შეტანილია 193,8 მილიარდი მანეთის საერთო ოდენობით, და მათი ხვედრითი წილი შეადგენს 44,5 პროცენტს.

მინისტრმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოადგინა ანგარიში სსრ კავშირის 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 100,7 პროცენტის ოდენობით, გასავლის ნაწილში — 99,8 პროცენტის ოდენობით.

ორატორმა დიდი ყურადღება დაუთმო ფინანსურ-ეკონომიკური მუშაობის გარდაქმნის საკითხებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინანსთა ორგანიზაციის გარდაქმნის დროს საჭირო იქნება შეიცვალოს სამეურნეო მუშაკთა გარკვეულ ნაწილში ჯერ კიდევ გავრცელებული დამოკიდებულება ფინანსებისადმი, როგორც მეორეხარისხოვანი უბნისადმი. მართვის ახალი მეთოდები ძირეულად ცვლიან ეკონომიკური მუშაობის შინაარსს, შესაძლებლობას გვაძლევენ ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა, მივანიშოთ მას ხარჯვასაწინააღმდეგო მიმართულება.

სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა, გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები განუყოფელად არის დაკავშირებული უწინარეს ყოვლისა საწარმოთა დონეზე დაფინანსების საქმის დაყენების გაუმჯობესებასთან. ამავე დროს ნამდვილ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა პრინციპულად ახალ, დიდ მოთხოვნებს უყენებს დარგობრივ სამინისტროთა ეკონომიკურ მუშაობას. მათი უპირველესი მოვალეობაა ეკონომიკურ საფუძველზე ააგონ ურთიერთობა საწარმოებთან, მკაცრად დაიცვან მათი სამეურნეოანგარიშებრივი უფლებები.

მომავალი წლიდან შემოღებული იქნება ზარალდაგეგმილ საწარმოთა დაფინანსების წესი დარგების სახსრების ხარჯზე, რომელსაც საფუძვლად უდევს შემცირებადი ნორმატივები. გათვალისწინებულია უკვე მიმდინარე ხუთწლედში ზარალის ლიკვიდაცია მეტ წილ დარგებში.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტაბილური ეკონომიკური და ფინანსური ნორმატივების გამოყენების დროს წარმოიქმნება საფინანსო სისტემასთან მეურნეობათა პრინციპულად სხვაგვარი ურთიერთობა. ყოველი მანეთი მოგებიდან საწარმოებსა და გაერთიანებებს რჩებათ მტკიცედ განპირობებული წილი წარმოების განვითარებისათვის, სოციალური საჭიროებისა და მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის.

სახალხო მეურნეობაში იხვეწება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა ყველა დონეზე და ყველა. რგოლში. უქმდება სამმართველო აპარატის რიცხვის, მისი შენახვის ხარჯების ზემოდან რეგლამენტაცია. საწარმოებს ეძლევათ უფლება გადაწყვიტონ საკითხი ცალკეული კატეგორიების მუშაკთა რიცხვის შესახებ. ხელფასის ფონდის დაზოგილი სახსრები არ გადაირიცხება ბიუჯეტში.

1987 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ცენტრში და ადგილებზე სამინისტროების, უწყებებისა და მართვის სხვა ორგანოების აპარატის რიცხვის შემცირებით დაზოგილი სახსრები.

უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა სავალუტო რესურსების ეკონომიური ხარჯვა. საჭიროა მოწესრიგდეს შესყიდვა იმპორტის ხაზით.

უნდა გადიდდეს ცენტრალიზებული სავალუტო დაგეგმვისა და სავალუტო სახსრების ხარჯვისადმი კონტროლის როლი.

დასასრულ დეპუტატმა თქვა, რომ ჩვენი საზოგადოება საიმედოდ უნდა იყოს გარანტირებული უყარათობისა და ყველა მისი გამოვლინებისაგან. ამისათვის უნდა გაუმჯობესდეს აღრიცხვა და კონტროლი, გამკაცრდეს ეკონომიის რეჟიმი, გაჩაღდეს უკომპრომისო ბრძოლა დანაკარგების, სოციალისტური საკუთრების დატაცებების, წამატებების წინააღმდეგ. უნდა დაჩქარდეს სტილისა და მეთოდების გარდაქმნა, უფრო გაბედულად და მტკიცედ ვიაროთ ეკონომიკაზე ფინანსურ-საკრედიტო ზემოქმედების გაძლიერების გზით. (ტასს).

(საკდესი).

# ქართული შემოდგომა

## მწერლის დღიურიდან

**— ჩვენში, საქართველოში, წელიწადის ყველა დრო კარგია...**

**ყოჩაღს ახალგაზრდა ოფიციანტმა, სანამ საუბარს გაგვიბამდა, მოიბოდიშა, სუფრის გაშლა განაგრძო და დასძინა, აქ ამ მშვენიერმა ამინდებმა შეიძლება დეკემბრამდე გასტანოსო. ეტყობა, ეამა, რომ ახე ალტაცებული ვიყავით მისი მშობლიური მხარის შემოდგომის ფერებით, და ცდილობდა სიყვარულითა და ალალმართალ ოფიციანტ[illegible] ბოდ. ალბათ, ამიტომ, [illegible] ცხელი ქოთნი[illegible] ნელოვანი მწვანილი ჯდებ[illegible] ვეჩვენა. ეს იყო ჩვეულებრივი გზისპირა სასაუზმე, უფრო სწორად დუქანი, სამადლო: ახე უწოდებენ აქაურები.**

**ასეთი** პატარა, მყუდრო დუქნები აქაურ გზებზე, შეიძლება ითქვას, იშვიათი არ არის. რამდენიმე ხის მაგიდა, სკამ-კუნძი, კედელზე რაიმე სურათი, ზოგიერთი — ფიროსმანის. მიმსგავსებული, ტიხარში პატარა სარკმელი, საიდანაც ერთ-ორ ცხელ კერძს მოგცემენ, თუ არ ჩავვლით საუზმეს და ჩაის, აბა, მეტი რა უნდა მგზავრს?..

სანამ დუქანში ვისხედით, მზემ შუბის ტარზე აიწია და მისი ალერსიანი, თბილი სხივები ფართო ხეობას მოეფინა, თითქოს ჩაათბუნა დასვენებული მიწა. ლურჯ ცაზე ბატკნებივით გაფანტულიყვნენ ფუმფული ღრუბლები და ერთი მათგანი თითქოს სავანგებოდ დაჰკიდებოდა აქლემის კუზის მაგვარ უნაგირა მთას. მე და ვახტანგ მდივანმა თითქმის ერთდროულად შევნიშნეთ ეს და ჩვენს ბაგეს უნებურად მოსწყდა ლერმონტოვის უკვდავი სიტყვები: „პაწაწკინტელა ოქროს ღრუბელმა დიდ კლდის უბეში დამე ათია...“.

ვახტანგი მეცნიერია, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე. ეს მე ვთხოვე, თან წაგვყვანე რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოგზაურობის დროს. ესაუბრები და ასე გგონია, საინტერესო წიგნსა კითხულობ.

— თქვენ, ვახტანგ, ნამდვილი ქართველი ხართ, — ვეუბნები და ვცდილობ ავყვეკ იუმორში.

— კაცო, სხვა რა გზა გაქვს, ქართველი არ იყო, როცა დღეს საქართველოს ამდენი მოეთხოვება. გარდაქმნაზე ლაპარაკი ახლა უკვე უნერხულია, ეს საქმე კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს. პატარა ვალი როდი გვაწევს...

დღეს გორის რაიონში მივდივართ. გზა მანქანებით არის გაქნილი. ორივე მიმართულებით მიჰქრიან მისაბმელიანი სატვირთო ავტომობილები, თვითსაცლელები, მთელი ავტომატარებლები და რეფრიჟერატორები. ყანები თითქმის უკვე მომკილია, მაგრამ ჯერ კიდევ დახუნძლულია ბალები და ნაწილობრივ ვენახები.

კაკლის ხეების უკან, რომლებიც გზისპირებს გასდევს, ვამლის მწკრივები გამოჩნდა. უკან რჩებოდა ხურვალეთი, ფაცერეთი, ახალშენი, ხაშური, ნასიმინდარ მინდვრებს ახალგაზრდა და ბებერი ბალები მოსდევდა...

გორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ვალერი იოსების ძე ხუციშვილმა, რომელიც სოფელ არბოში „გამოვეჭირეთ“, გვითხრა, ვამლისა და მსხლის ფართობებს კვლავაც გაგზრდითო: ეს მეცნიერულად დასაბუთებული და ხელსაყრელია. სიტყვა „ხელსაყრელს“ ხუციშვილი ხშირად ხმარობდა.

— ხომ გესმის, მაგას აბაშის სკოლა აქვს გამოვლილი, — ჩაურთო ვახტანგმა. — ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ უპირველეს რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას მეთაურობდა.

ხუციშვილი რაღაც აგზნებულად გამოიყურებოდა. იგი მხოლოდ გუშინ დაბრუნდა კრასნოდარის მხარიდან, „უუბანის“ ცნობილი აგროკომბინატიდან, სადაც გამოცდილების მისაღებად ჩავიდა, და ყველაფრიდან ჩანდა, რომ ბევრი ახალი და საქმიანი იდეა ჩამოჰყვა. ჰოდა, ეჩქარება ეს იდეები მალე დანერგოს თავის გორში: ჯერ ადამიანთა შეგნებაში, შემდეგ კი საქმეშიც. მოგეხსენებთ, მარტოკაცი ქაშაბაც ბრალიაო. ყველა სიახლე მაშინვე როდი გაიდგამს ფესვებს, ჯერ დარწმუნებით უნდა გააფხვიერო და გააპხიერო „ნიადაგი“, რათა სხვებიც ამოგიდგნენ მხარში. ვინ არ იცის, ჩვეულება რკულზე უმტიცესია, ისე იოლად ვერ დასძლევ. მაგრამ ხუციშვილს შეუპოვრობა არ აკლია. იგი განათლებული, მხნე, დაუშრომელი კაცია, მიწისა ესმის და უყვარს. ამ მიწის. ამ ბაღების, ფერმებისა და ყანების გულისთვის თბილისში, მინისტრთა საბჭოში დიდი თანამდებობა მიატოვა. თავისი ნებით. ამას ყველა ვერ იზამს. ხუციშვილი კი ბედნიერად გრძნობს თავს. კონკრეტული საქმე, რომლის შედეგები ყველასთვის თვალსაჩინოა, — ამხნევებს და ახარებს. ხუთი წელია, რაც გორშია, და ამ დროის მანძილზე რაიონმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. აგროსამრეწველო გაერთიანების ასეთი თავმჯდომარის პატრონი პარტიის რაიკომს, ცხადია, არაფერი გაუჭირდება.

სხვათა შორის, აქაური საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვახტანგ სიმონის ძე ბასილაშვილიც ქალაქელია, უმაღლესი პარტიული სკოლა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული. ცოლთან და სამ შვილთან ერთად სოფლად გადმოსახლდა. ცხრა წლის მანძილზე ბასილაშვილი ისე შეისისხლხორცეს, აღარც კი ახსოვთ, რომ აქაური არ არის.

ვაშლი აქ მთავარი კულტურაა, და ჩვენც ბაღებს მივაშურეთ. აქ რენტაბელობას სწორედ ხილი უზრუნველყოფს. მილიონიანი წმინდა მოგებაა.

ველური ზღმარტლის ტევრს შემოვუარეთ, პატარა არხზე გადავხტით და თვალწინ გადაგვეშალა უსასრულო მეწამული ზღვა. ეს „კეხურა“ იყო — ძველი ქართული ჯიში. იგი ყველაზე საგვიანოა. მძიმე, მკვრივი ვაშლია, ისეთი ლამაზი და სურნელოვანი, შეეშა დაგენანება.

— ეტყობა, ძალიან ხვავიანი, მოსავლიანი წელი დაგიდგამთ, — ვეუბნები ამ ბარაქით მოხიბლული.

ეგ ჩვენს მებაღეებს დარიკოს ნაცვლიშვილსა და სულიკო ამაზაშვილს ჰკითხეთ, — შუბლშეკრული მეუბნება დირექტორი.— ისინი გეტყვიან, როგორი წელი იყო. ათასი რამ დაგვატყდა თავს — სეტყვაც, თქეშიც, ყინვებიც. ჰეი, ნუკრი! სად არიან დარიკო და სულიკო? საწყობში წავიდნენ? ერთი სიტყვით, ეს ბარაქიანი წლისა კი არა, მაგათი მარჯვენის ნაყოფია. თვითონ მარტო სარეველა იზრდება, ვაშლი კი შვილივით უნდა გამოზარდო...

— ჩვენში რომ ვთქვათ, რას ფხუკიანობ? — ეკითხება დირექტორს ხუციშვილი. — დანაკარგები გექნება, გახედე, რამდენი ვაშლი ჩამოცვენილა. ეს კი წვენებია, კომპოტებია...

— სწორედ მაგიტომ მეწვება გული... ხალხი არ მყოფნის... — ჩემო კარგო, ჩვენ გულს ვერ აგვიჩუყებ. რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში მუქთად არაფერი მოდის. ეს წინათ იყო, მუქთი შეფები რომ ჩამოდიოდნენ. ასე რომ, იცოდე...

ყველაზე მკვრივ ვამლს, რომელიც დიდხანს შეინახება, ბაღიდან პირდაპირ მაცივარ-საწყობში გაგზავნიან. აქ თანამედროვე მოწყობილობა და მექანიზაციაა. სამაცივრე შენობებამდე რკინიგზის შტოა გაყვანილი. აი საიდან მივიღებთ იანვარში თუ თებერვალში გორულ ვაშლს, რომელსაც შემოდგომის ღამეების სუნელება შემორჩენიათ.

— გეგმებს ვასრულებთ, — თქვა დირექტორმა და რაღაც ჩაინიშნა ბლოკნოტში. — ხუთწლედის დამლევისათვის 30 ათას ტონაზე მეტ ხილს მივცემთ ქვეყანას. უკვე ახალ ბაღებს ვამენებთ—ოთხას ორმოცდაათ ჰექტარს, ჯიშებს შევცვლით. მიწას ვეძებთ, თავისუფალი მიწები არა გვაქვს. ჩვენ ხომ მარტო ხილი კი არა, ბოსტნეული, პური და საკვებიც მოგვყავს.

* * *

დღე იწურებოდა, მაგრამ ისევ ისეთივე სითბო და მყუდროება სუფევდა, მზე ნელ-ნელა ეშვებოდა მთების უკან.

მოულოდნელად სტუმრად მიგვიწვიეს. თუმცა, ჩემთვის იყო მოულოდნელი, ვახტანგი და ხუციშვილი კი სხვა აზრისანი იყვნენ. სოფელ საქაშეთში გადავწყვიტეთ ქვეითად გაგვესეირნა ფართო ქუჩით, დაგვეთვალიერებინა, ვინმეს გავსაუბრებოდით ან უბრალოდ ჩამოვმსგდარიყავით და თვალყური გვედევნებინა ბლეხების სალამოს ცხოვრებისათვის. მაგრამ განმარტოება არ გამოგვიდა, როგორც კი პირველივე სახლებთან გამოვჩნდით და საუბარი გავაბით დღეკანდელ შთაბეჭდილებებზე, ეზოს კარმა გაიჭრიალა და ჭარმაგი კაცი გამოვიდა, მოგვესალმა და შინ შეგვიპატიჟა. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდა დიდი ხანია და კარგად გვიცნობსო. სინამდვილეში აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარესაც კი არ იცნობდა, ჩვენ კი მით უმეტეს.

— რაღაც მეუხერხულება, — ტადავუჩურჩულე ვახტანგს. — იქნებ, მოგვიანებით...

მაგრამ ვახტანგმა ისეთი თვალით გადმომხედა, უსიტყვოდ გავყევი...

ისე კი, მართალი გითხრათ, დიდი ხანია მინდოდა ქართველი გლეხის ოჯახი გამეცნო. რატომღაც ისე მოხდა, საქართველოს ჯერ სხვების ნაუბარით ვიცნობდი, თვალით კი მერე ვნახე. ჯერ კიდევ სიჭაბუკეში მომხიბლა ამ ხალხის სიმღერებმა. მომწონდა, როგორ მღეროდნენ ქართველი მოხუცები. იქნებ თავდაპირველად ეს სიმღერა რადიოთი მოვისმინე და სამუდამოდ ჩამრჩა გულში. რატომღაც ასე წარმომედგინა, რომ მოხუცები სადღაც ბორცვზე სხედან, მაღ წინ ცეცხლი ხრჩოლავს, ცაზე მთვარე ანათებს და ზემოდან იღვრება სიმღერა, უსიტყვოდაც გასაგები...

ჩვენს მასპინძელს გალაქტიონი ერქვა, აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოგვარე იყო — ხუციშვილი. თავმჯდომარე ამან ისე გაახარა, რომ გადაეხვია, თითქოს ნათესავი შეხვედროდეს. გალაქტიონმა ცალი ხელი მოხვია, რადგან მეორე არ ჰქონდა. იგი ლენინგრადში იერიშის დროს დაუკარგია. მაგრამ საბჭოთა მეურნეობაში ცალი ხელითაც მუყაითად მუშაობდა. ახლა, როცა საჭირო, ეხმარება ხოლმე ბრიგადას, თუმცა უკვე სამოცდაათს გადააბიჯა. სამშუნაროდ, ცოლი ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლია. სამი ვაჟი ჰყავს: ჯუმბერი, რამაზი და ვლადიმერი. არც შვილიშვილები აკლია. ყველანი ერთად ცხოვრობენ ამ სახლში. სახლი კარგი უდგას. ფართოვერანდიანი, გარშემო ბაღია. კუტიკარისკენ მიმავალი ფართო ბილიკი დერეფანს ჰგავს, რომლის კედლები და ჭერი ვაზით არის შემობურული.

— ამ დერეფანს ტალავერს ვეძახთ, — გვეუბნება გალაქტიონი. — ყველაფერი ჩვენი ხელით არის გაკეთებული. გამოჯე, კეთილი ბიჭები მყავს, რძლები — კიდევ უკეთესი: ქეთევანი, ლარისა და გულიკო. ძროხასა და ფრინველს ბალღები უვლიან. ხეხილიც მაგათი მისახედია. ჩვენ ბევრი არაფერი გვინდა, ოღონდ მშვიდობა იყოს. ახლა ჩვენში, საქართველოში, ღვთის მადლით, საქმე სწორდება, პატიოსან კაცს გზა მიეცა...

მერე მეზობელ სახლში — დავით მაგელაშვილთან გადაგვიპატიჟეს. აქ კიდევ უფრო დიდი ოჯახია — ცამეტი კაცი. რემონტს აკეთებენ, ღობის გასწვრივ გორებად დგას ქვიშა და ქვა. აქაც, ისევე როგორც გალაქტიონთან, ოჯახს ყველაფერი საკუთარი ხელით გაუკეთებია, სახლის პროექტიც მათთვეა — პაპისა: ძველმა ხალხმა იცოდა შენება, რამდენიმე წლის მანძილზე უფროსებიშვებულების დროს აქ მუშაობდნენ. ოჯახის ნახევარს ხომ დიპლომიანი სპეციალისტები შეადგენენ: შეეძლოთ საბჭოთა მეურნეობისაგან მოეთხოვათ სახელმწიფო ბინა. მაგრამ რა საჭიროა, როცა ახალგაზრდა და ღონიერი ხელები გასხია? თანაც, რაც გინდა კარგი ბინა იყოს, საკუთარ სახლთან როგორ მოგა?

— მერე, შინ ჩხუბი და უსიამოვნება არა გაქვთ ხოლმე? — წამომცდა უნებურად, — ახლა ბევრნი უჩივიან ამას.

— რას ამბობ, კაცო, ჩხუბი რა საკადრისია, სიამტკბილობა არა სჯობს? — მიპასუხა დავითმა. — კაცი პატივს უნდა სცემდეს ადათს, სინდის-ნამუსს, გარჯას. ასე გვასწავლიდნენ მამა-პაპანი, და ჩვენც ამას ვასწავლით ახალგაზრდებს...

სუფრა ყველაზე დიდ ოთახში გაგვიშალეს. თითქმის მთელმა ოჯახმა მოიყარა თავი. მეზობლებიც გვეწვივნენ, არავითარი ღვინო არ იყო. ჩრც არავის გახსენებია. საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ ქართულ ქეიფზე გავრცელებული ხმები ძალზე გაზვიადებულია. საქართველოში საერთოდ ბევრს არ სვამენ. სუფრა რიტუალია, ის ადგილია, სადაც შენი მეგობრები სხეულან და შეგიძლია სანუკვარი აზრები გაუზიარო...

აი, საჭმელი, ხილი და ბოსტნეული კი იმდენი იყო, ლამის მაგიდა ჩამტყდარიყო. თავაზიანი ნუნუ ძლივს ისწრებდა ჩაის დასხმას. შევცქეროდი ჩემს ახალ ნაცნობებს, რომლებიც ისე მესმამათიურებოდნენ, და გულში ვნატრობდი, ნეტა იმღეროონ-მეთქი. ვიცოდი, ასე ხდება ხოლმე, და ველოდი. და აი, ამღერდნენ კიდეც. პირველმა, ოდნავ ყელმოღერებულმა, ოჯახის უფროსმა დაიწყო, მას შვილები და ძმები აყვნენ, არც თავმჯდომარე ვალერი ხუციშვილი ჩამორჩა, და გადმოღვარა სიმღერა — ლაღად, ბუნებრივად, როგორც მთის ნაკადული, გულში სითბო და ნეტარება ვიგრძენი, თვალი ცრემლმა დამინამა. ჰო, პატივი უნდა ვცეთ ადათ-წესებს, სინდის-ნამუსსა და გარჯას. და მეგობრობასაც, რომელმაც შეაკავშირა ჩვენი ხალხები.

* * *

ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და სირთულეა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ის, რომ ამ უზარმაზარ და უმნიშვნელოვანეს დარგს დაჩქარებამ მაგრად ჩასცხედა ხელი და წინ ეწევა, უდავოა. სახაგრომრეწვს აქ სოციალისტური შრომის გმირი გურამ მგელაძე უდგას სათავეში. იგი პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი იყო. აბაშამ წამოიწყო სოციალურ-ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელსაც მერე ბევრი აჰყვა. ექსპერიმენტმა გაამართლა, დაამტკიცა, რა უზარმაზარი ძალაა ეს — ადამიანის ფაქტორი, ჭკუა, გაანგარიშება და გამბედაობა, გამრავლებული მეცნიერებაზე...

მგელაძეს ძნელად თუ დაიჭერთ ადგილზე, აუცილებელი საქმე აქვს. მხოლოდ კვირა დღეს შეეხვდი.

— მოსახლეობას ჭამა-სმა სჭირდება, — გვითხრა გურამ მგელაძემ, — მარტო თბილისში თითქმის მილიონ-ნახევარი მოსახლეობაა, ზაფხულობით კიდევ მილიონობით ტურისტი ჩამოდის. ყველა უნდა უზრუნველვყოთ. ყველაფერს გამოვიყენებთ. მოსახლეობისგან შესყიდვას, ბაზრებს, ბოსტნეულისა და ხილის ბაზრობებს, ადგილებზე პროდუქციის გადამუშავებას. რეზერვები გვაქვს, ვავლენთ და საქმეში ვაბამთ. ცხადია, ჩვენთვის მთავარი საწყაო ხარისხი იქნება. ჩაი ჩაი უნდა იყოს, ყველი — ყველი...

მგელაძემ ათობით ციფრი დაგვისახელა, ილაპარაკა კადრების შერჩევაზე, მთის ფერდობების გამოყენებაზე, საკვების ბაზაზე.

— ერთი, ეს შემოდგომა დაგვამთავრებინა რიგიანად, — გვითხრა მგელაძემ და სარკმელი გაიფრიალა, — ჯერჯერობით ამინდი გვწყალობს. როგორმე დანაკარგები უნდა შემცირდეს... რომ იცოდეთ, როგორი რთული პრობლემაა ეს...

ეუსმენდი და თვალწინ წარმომიდგა საქართველოს გზები, რომლებიც მოვიარე, თვალწინ წარმომიდგა ახალი მეგობრები, რომლებიც აქ გავიცანი.

**იური ბრიგოვი.**

„პრავდა“, 1986 წ. 16/XI.

# კურსია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება

(დასასრული)

დეპუტატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს

# მსოფლიოში

ფაქტები • მოვლენები


ისტორიული ვიზიტის წინ

## მეგობრობის განმტკიცების ახალი იმპულსი

### ინდოეთის კომპარტია (მარქსისტული) მიესალმება შ. ს. გორბაჩოვის ვიზიტს

**დელი.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი ინდოეთში ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის მრავალმხრივი კავშირურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას და დიდ წვლილს შეიტანს ბირთვული განიარაღებისა და პლანეტაზე მშვიდობის განსამტკიცებლად ბრძოლის საქმეში. ეს ნათქვამია ინდოეთის კომუნისტური პარტიის (მარქსისტული) პოლიტბიუროს მისალმებაში, რომელიც უოველკვირეულ „პიპლზ დემოკრასიში“ გამოქვეყნდა.

ინდოეთის კომპარტიის (მარქსისტული) პოლიტბიურო აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელი ინდოეთს ეწვევა საერთაშორისო ცხოვრების პასუხსაგებ მომენტში, როცა ომისა და მშვიდობის საკითხები მთელი კაცობრიობისათვის დაღუპვა-გადარჩენის საკითხებად იქცა. საბჭოთა კავშირი ყველა ღონეს ხმარობს, რაც მასზეა დამოკიდებული, რათა არ დაუშვას პლანეტის დაქანება ბირთვული კატასტროფის უფსკრულისაკენ. მას მრავალჯერ წამოუყენებია კონსტრუქციული სამშვიდობო წინადადებები, რომლებიც ითვალისწინებს ამ საუკუნის დამლევამდე ბირთვული იარაღის საგრძნობ შემცირებას, ხოლო შემდეგ სრულ მოსპობას. ახალი სამშვიდობო ინიციატივების პაკეტმა, რომელიც საბჭოთა კავშირმა პრეზიდენტ რეიგანს შესთავაზა ამას წინათ რეიკიავიკში უმაღლეს დონეზე გამართული შეხვედრის დროს, კიდევ ერთხელ ცხადყო სსრ კავშირის უდიდესი პასუხისმგებლობა კაცობრიობის სვე-ბედისათვის. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთ წოდებული „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამამ მთავარ დაბრკოლებად იქცა ისტორიულ მორიგებათა მიღწევის გზაზე, აღნიშნავს ინდოეთის კომპარტიის (მარქსისტული) პოლიტბიურო.

„დარწმუნებული ვართ, — ნათქვამია მისალმებაში, — რომ მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი ახალ იმპულსს მიანიჭებს მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ხელშეკრულების შემდგომ განვითარებას და აღფრთოვანებს ინდოელ ხალხს, რომელიც ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და საერთაშორისო მშვიდობისათვის იბრძვის“.

● აშშ

## დემონსტრაცია ნევადის პოლიგონთან

**ნიუ-იორკი.** „შეწყდეს გამალებული ბირთვული შეიარაღება!“, „საბჭოთა კავშირმა შეწყვიტა გამოცდები. ჩვენ რატომღა არ ვწყვეტთ?“ — ასეთი ლოზუნგებით გამართა ნევადის შტატის ატომური პოლიგონის შესასვლელთან საპროტესტო დემონსტრაცია იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებული შტატები აჩქარებს ბირთვული იარაღის გამოცდების პროგრამას. მანიფესტაცია დაემთხვა 28-ე ბირთვულ აფეთქებას, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციამ მოახდინა მას შემდეგ, რაც 1985 წლის 6 აგვისტოს ძალაში შევიდა ყოველგვარი ბირთვული აფეთქების საბჭოთა ცალმხრივი მორატორიუმი.

ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ათობით მშვიდობის მომხრე შეიკრიბა პოლიგონთან, რომელსაც მართავს ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტრო. ისინი აქ მოვიდნენ იმისათვის, რომ ვაშინგტონს მოსთხოვონ განაბორციელოს რეალური და ქმედითი ღონისძიებანი, რათა დადოს სსრ კავშირთან ეფექტიანი შეთანხმებანი შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში და, კერძოდ, ბირთვულ აფეთქებათა ურთიერთშეწყვეტის შესახებ.

— ახლა საჭიროა სასწრაფო ღონისძიებანი, რათა ვაიძულოთ ვაშინგტონი გასცეს, ბოლოს და ბოლოს, პოზიტიური პასუხი საბჭოთა წინადადებას ბირთვული გამოცდების შეწყვეტის შესახებ. — თქვა ჟურნალისტებთან საუბარში გრეიდი უოკერმა, ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციის „ამერიკენ პის ტესტის“ წარმომადგენელმა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს პოლიგონის კართან მანიფესტაციათა ორგანიზაციაში. „დანაშაულია, რომ რეიგანის ადმინისტრაციას არ სურს თუნდაც სერიოზული მოლაპარაკება დაიწყოს ბირთვული იარაღის გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

„ამერიკენ პის ტესტის“ ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის მომხრენი ნევადის უდაბნოში მოაწყობენ სამოქალაქო ურჩობის აქციას, გადაეტანენ პოლიგონის შესასვლელს.

## დაგმეს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა

**ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობის კონფერენციის რეზოლუცია**

**გლეიკეული.** საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრამ რეიკიავიკში ცხადყო, რომ არის ბირთვული შეიარაღების მარაგის შემცირების რეალური შესაძლებლობა როგორც პირველი ნაბიჯი მისი სრული ლიკვიდაციის გზაზე. მაგრამ იმან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურს ხელი აიღოს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის რეალიზაციაზე და განაგრძობს ბირთვულ გამოცდებს, ჩაშალა უკვე აღნიშნულ ეტაპზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა. ასეთ დასკვნას შეიცავს ერთ-ერთი რეზოლუცია, რომელიც აქ დამთავრებული დიდი ბრიტანეთის ყველაზე მასობრივი ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციის — ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობის ყოველწლიური კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს.

რეზოლუციაში, რომელიც ეხება საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, კონფერენციის დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ ინიციატივებმა ძირ-ფესვიანად შეცვალეს პოლიტიკური ატმოსფერო ბირთვული შეიარაღებისა და დასავლეთის ქვეყნების ხალხთა განწყობილების გარშემო, გამალებული შეიარაღების აპოლოგეტები აიძულეს თავდაცვაზე გადასულიყვნენ. დოკუმენტში მადლობას უცხადებენ სსრ კავშირს იმისათვის, რომ ცალმხრივი წესით გამოაცხადა და უკვე რამდენჯერმე გაახანგრძლივა ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმი.

ფორუმის მონაწილეებმა ერთხმად დაგმეს ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა და მასში დიდი ბრიტანეთის მონაწილეობა. მათ აღნიშნეს, რომ ეს პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციას, ეწინააღმდეგება არსებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, და ბრიტანეთის მთავრობას მოუწოდებს „მიაღწიოს, რათა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია იცავდეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების დებულებებს“. ხმების დიდი უმრავლესობით კონფერენციამ მხარი დაუჭირა ქვეყნის ტერიტორიიდან ყველა ამერიკული ბაზის გატანას და აღნიშნა, რომ ამერიკის სამხედრო ყოფნა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და ბრიტანელ ხალხს.

◆ ავსტრია

## საბჭოთა წარმომადგენლის განცხადება

**ვენა.** ახალი საბჭოთა ინიციატივები ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი დიდად ერთგულობს სრულიად ევროპის პროცესს და „ჰელსინკის საბოლოო აქტს, რომელიც მოუწოდებს „ყველა სახელმწიფოს წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში“. გაანცხადა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების აქ გამართულ შეხვედრაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ი. ბ. კაშლევმა.

მან შეხვედრის მონაწილეებს აცნობა, რომ ფინეთში ვიზიტის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა წარმოადგინა საბჭოთა კავშირის ახალი დიდი ინიციატივები, რომელთა მიზანია ჩრდილოეთ ევროპაში უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცება, ამ რეგიონში უბირთვო ზონის შექმნა. საბჭოთა კავშირის ღონისძიებანი ეხმიანება ფინეთის პრეზიდენტის მ. კოვისტოს მოსაზრებებს ჩრდილოეთ ევროპაში ნდობის განმტკიცების ღონისძიებების, აქ სამხედროსაზღვაო აქტიურობის შეზღუდვის შესახებ.

საბჭოთა კავშირი აქტიურად უჭერს მხარს წინადადებას უბირთვო ჩრდილოეთის შექმნის თაობაზე და ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ამ ინიციატივამ დიდი და მთლიანად პოზიტიური ინტერესი გამოიწვია შვეიცარიაში, ნორვეგიაში, სკანდინავიის სხვა ქვეყნებში.

◆ ბრაზილია

## გაიმართა არჩევნები

**რიო-დე-ჟანეირო.** წინასწარი მონაცემებით ბრაზილიის მმართველი კოალიციის — დემოკრატიული კავშირის პარტიები დამაჯერებლად ლიდერობენ არჩევნებში, რომელიც შაბათს გაიმართა ლათინური ამერიკის ამ უდიდეს ქვეყანაში.

70-მა მილიონმა ბრაზილიელმა ამომრჩეველმა პირველად ამ ეტაპზე ხელისუფლების სათავეში შარშან მარტში სამოქალაქო მთავრობის ჩადგომის შემდეგ აირჩიეს ეროვნული დამფუძნებელი კრების (პარლამენტი) დეპუტატები, აგრეთვე შტატების გუბერნატორები და საკანონმდებლო კრებების წევრები.

ინფორმაციის ადგილობრივი ორგანოების ცნობით, ბრაზილიის დემოკრატიული მოძრაობისა და ლიბერალური ფრონტის წარმომადგენლებმა ხმების უმრავლესობა მიიღეს 23-დან 20 შტატში. საბოლოო ოფიციალური შედეგები მომავალ კვირაში გამოქვეყნდება.

ფოტოფაქტი

● ინგლისი

## ათასობით შუშუმვართა პეტიცია

**ინგლისის პარლამენტის შენობასთან შრომის უფლებისათვის 300-მილიანი მარშის მონაწილეებმა პეტიცია გადასცეს თემთა პალატის დეპუტატებს ქვეყნის წამყვანი ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიისაგან. დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერა დიდი ბრიტანეთის ათიათასობით უმუშევარმა, შეიცავს სახოწარკვეთილ ადამიანთა მოწოდებას ბოლო მოეღოს კონსერვატორთა მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას.**

**სურათზე:** მარშის მონაწილენი.

აპ-საქდესის ფოტო.



**გუშინ, 17 ნოემბერს, აღინიშნა სტუდენტთა საერთაშორისო დღე. ჩვენი პლანეტის ყველა სტუდენტს ერთი საერთო და უმთავრესი მიზანი აქვს. ეს არის ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთისათვის.**

**ბრძოლა გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, მშვიდობისათვის — ეს არა მარტო ომისსაწინააღმდეგო მიტინგები და მანიფესტაციებია, არამედ თავდადებული და ბეჯითი სწავლა და შრომაა, ის ამოცანებია, რომლებიც დგას დღეს საბჭოთა ახალგაზრდების, მათ შორის სტუდენტების წინაშე.**

**ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სიმონ კილაძემ გადაიღო, ქართველი და უცხოელი სტუდენტები არიან აღბეჭდილი.**

## გავუღვივოთ ინტერესი ახალგაზრდობას

### კომპიუტერული კლუბი თბილისში

**თბილისის** ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა რესპუბლიკური საბჭოს ინიციატივით გაიხსნა პერსონალური კომპიუტერული კლუბი.

**— რა მიზანს ისახავს კომპიუტერული კლუბი? — ჰკითხა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა ამ კლუბის გახსნის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელს, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტს მიხეილ ხოშტარიას.**

— უწინარეს ყოვლისა, ის შესაძლებლობას მისცემს ბავშვებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს, სამეცნიერო და შემოქმედ ახალგაზრდობას ახლოს გაეცნონ კომპიუტერებს, მათს ფუნქციურ შესაძლებლობებს. თავდაპირველად, ყმაწვილების მოსაზიდად და დასაინტერესებლად, ამას, ცხადია, თამაშის ხასიათი ექნება. შემდეგ, დროთა განმავლობაში, ჩვენ ვეცდებით ინტერესი გავუღვივოთ პროგრამებისადმი — მივიზიდოთ მარტივი პროგრამების შედგენაში და ასე, მარტივიდან გადავიდეთ რთულზე. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ალბათ, დარწმუნდით, როდესაც იხილეთ ჩვენი კლუბის წევრების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტის ბესიკ პარლაგაშვილისა და X კლასის მოსწავლის სოსო გამყრელიძის მიერ შექმნილი პროგრამული პროდუქტი.

**—სხვათა შორის, ინტერესი გამოიწვია თქვენ მიერ კომპიუტერ „ობრაზე“ გაკეთებულმა ძველმა ქართულმა ანბანმაც. რა ბედი ეწია მას, როგორ და სად იყენებთ?**

— ჯერჯერობით მხოლოდ სადემონსტრაციოდ. თუმცა დღესვე შეიძლებოდა მისი გამოყენება ძველი ქართული დამწერლობის სწავლებისას. საკმარისია ერთხელ აკრიფო ტექსტი კომპიუტერზე თანამედროვე ქართულით და მანქანა მას ამობეჭდავს ძველი ქართული ანბანით ან ორივე ანბანით ერთდროულად.

**— ცნობილია, რომ კომპიუტერული კლუბი საზოგადოებრივ საწყისებზეა გახსნილი. როგორია მისი სტრუქტურა? ვინ იმუშავებს ბავშვებთან?**

— მისი სტრუქტურა, შეიძლება ითქვას, არცთუ ტრადიციულია. მისი ხელმძღვანელი ორგანოა მეურვეთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში არიან ჩვენი რესპუბლიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. საბჭო ნამდვილ მეურვეობას გაუწევს კლუბს: იზრუნებს მის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, მის აწმყოსა და მომავალზე. მეურვეთა საბჭოს უხელმძღვანელებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი. კომპიუტერული კლუბის უშუალო საქმიანობას წარმართავს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში პროფესიონალი პროგრამისტები და ინჟინრები შედიან. მას სათავეში ჰაუდგება „ალგორითმის“ თბილისის ფილიალის დირექტორი ივანე გორგიძე. რაც შეეხება ბავშვებს, მათთან ძირითადად სტუდენტები იმუშავებენ კლუბის აღმასკომის წევრების ხელმძღვანელობით. ამით ისინი საკუთარ პროფესიულ დონესაც აიმაღლებენ. დიდ იმედებს ვამყარებთ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მთავარ საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრსა და მოსკოვის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის „ალგორითმის“ თბილისის ფილიალზე, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს კლუბს, აქტიური მონაწილეობა მიიღეს მის გახსნაში.

**— კიდევ რა საინტერესო ღონისძიებებს ითვალისწინებთ?**

— გვინდა, რომ კლუბი თბილისელი პროგრამისტების თავშეყრის ადგილად იქცეს. აქ მათ შესაძლებლობა ექნებათ განსახილველად წარმოადგინონ საკუთარი პროგრამული პროდუქტი, მიიღონ კოლეგების რჩევა, რეკომენდაციები. კლუბში მოვიწვევთ ჩვენი ქვეყნის წამყვან სპეციალისტებს, რომლებიც წაიკითხავენ როგორც პოპულარულ, ასევე სპეციალურ ლექციებს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის აქტუალურ საკითხებზე. გარდა ამისა, მოეწყობა საინტერესო საინფორმაციო მასალის, წიგნების, ჟურნალების გამოფენა, გაიმართება კონკურსები და შეჯიბრებები თამაშებსა და პროგრამირებაში და მრავალი სხვა.

აი ახლა, კლუბის გახსნის პირველსავე დღეებში, მოვაწყეთ შეხვედრა ქალაქ რუსთავის საშუალო სკოლებისა და ტექნიკუმების პედაგოგ-მასწავლებლებთან. ვესაუბრეთ კომპიუტერული სწავლების საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, მივეცით საშუალება თავად ემუშავათ კომპიუტერებზე. მოვილაპარაკეთ, რომ პერიოდულად ისინი მოსწავლეებსაც ჩამოიყვანენ და აქ ჩაუტარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს.

**— როგორ წარმოგიდგენიათ კლუბის მომავალი?**

— კლუბი მიიღებს ახალ, ფართო ბინას, დაკომპლექტდება თანამედროვე პერსონალური კომპიუტერებით, მას გაუჩნდება „კონკურენტები“, ვთქვათ, დარგობრივი კლუბები: მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა კავშირების, თეატრალური, ქორეოგრაფიული საზოგადოებებისა და სხვა. იმ კლუბებში, ალბათ, საზოგადოებების წევრთა ოჯახები დაისვენებენ, დაეუფლებიან კომპიუტერულ ანბანს. კლუბებს მარტო გასართობი ფუნქცია არ ექნებათ. ჩვენი კლუბის წევრების დახმარებით შეიქმნება მონაცემთა ბაზები, რომლებშიც ენციკლოპედიური ცოდნა შეიძლება დავაგროვოთ. ვთქვათ, ყველფერი მხატვრობასა და მხატვრებზე, ან მუსიკაზე, მუსიკოსებზე, ლიტერატურაზე და სხვა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მომავალში კომპიუტერები ერთიანან ქსელში უნდა გაერთიანდნენ, მაშინ ძველი წარმოსადგენი არ არის, რა დიდი ცოდნა გვექნება დაგროვილი და კლასიფიცირებული, რამდენად გაადვილდება, დაჩქარდება საჭირო ინფორმაციის მიღება.

**— რადგან კომპიუტერული კლუბის ძირითადი კონტინგენტი მაინც ახალგაზრდობა იქნება, სასკოლო და სტუდენტური ასაკისა, ალბათ, კლუბს გარკვეული როლის შესრულება შეუძლია მათი აღზრდის საქმეშიც.**

— ჩვენ ვეცდებით ისე წარვმართოთ მუშაობა, რომ, რაც შეიძლება მეტი ბავშვი მოვიზიდოთ, დავაინტერესოთ, ასე ვთქვათ, „მოვტაცოთ ქუჩას“, მოვწყვიტოთ ისინი მოდური ვიდეომანიის მაგნე გავლენას. გულუბრყვილო იქნებოდა ვვეფიქრა, რომ კომპიუტერული კლუბები გადაწყვეტენ ყველა პრობლემას, მაგრამ ყოველი გადარჩენილი ახალგაზრდა, სწორად წარმართული მოსწავლის ბედიც ხომ ვეებერთელა საქმეა! ცხადია, კლუბის ფუნქცია მარტო კომპიუტერული განათლების გავრცელებით არ შემოიფარგლება. მას დიდი სოციალური მნიშვნელობაც ენიჭება.

**— ამას წინათ ჰაერაკში მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ერთ-ერთ ინტერვიუში მოიხსენია თქვენი კომპიუტერული კლუბი. რა კავშირი აქვს მსოფლიო ჩემპიონს კომპიუტერულ კლუბებთან და, კერძოდ, თქვენს კლუბთან?**

— გარი კასპაროვი მოსკოვის კომპიუტერული კლუბის პრეზიდენტია და ამას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რომ მის სავიზიტო ბარათს აწერია: „გარი კასპაროვი, კომპიუტერული კლუბის პრეზიდენტი, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში“. თუ ყურადღება მიაქციეთ, მას პირველ ადგილზე აღნიშნული ჰქონია ეს, კლუბის პრეზიდენტობა აქვს მოხსენიებული. მის დამოკიდებულებას კლუბისადმი ასახავს ის ფაქტიც, რომ გარი კასპაროვმა კომპიუტერულ კლუბს საჩუქრად გადასცა ადამენინმე თავისი პირადი პერსონალური კომპიუტერი. ჩვენ საქმიანი მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს მოსკოვის კლუბთან და მის პრეზიდენტთან. რამდენადაც ვიცი, მალე ანალოგიური კლუბები უნდა გაიხსნას ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც. ამ საქმის ინიციატორია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ევგენი ველიხოვი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი კლუბის დაარსებაშიც.

**— თქვენ კომპიუტერული კლუბის მეურვეთა საბჭოს სწავლული მდივანიც ბრძანდებით და ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტიც. რა შეგიძლიათ გვითხრათ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის საქმიანობის ახალ ფორმებზე? როგორ შეხვდნენ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის წევრები კომპიუტერული კლუბის გახსნას?**

— აღფრთოვანებით. მაგრამ კომპიუტერული კლუბის გახსნა ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯია. ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის პრეზიდიუმი აპირებს კიდევ უფრო გაამრავალფეროვნოს მუშაობა — შექმნას კლუბები ინტერესების მიხედვით, რომლებიც სტრუქტურულად სწორედ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის შემადგენლობაში შევლენ. დღის წესრიგში დგას მუსიკის, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და კინოს მოყვარულთა კლუბების გახსნა. ვფიქრობთ, მუშაობის ახალი ფორმა კიდევ უფრო მეტ ახალგაზრდას მოიზიდავს ჩვენს კლუბში.

**ინტერვიუ ჩამოართვა**

**მ. ქორიძემ.**



### ვიქტორ გოგლიძის მემორიალი

## 4 დიდოსტატი და 10 ოსტატი

**კვირას,** 16 ნოემბერს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიხსნა გამოჩენილი ქართველი ოსტატის ვიქტორ გოგლიძის მემორიალი. მის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე გ. ბედინეიშვილი. შემდეგ მთავრმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა თ. გიორგაძემ მოაწყო წილისყრა, რომელმაც ასეთი შედეგები მოგვცა: 1. საერთაშორისო ოსტატი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭაბუკთა შორის ო. ცვიტანი (იუგოსლავია), 2. საერთაშორისო ოსტატი ვ. არხიპოვი, 3. დიდოსტატი ბ. გურგენიძე, 4. დიდოსტატი ო. რომანიშინი, 5. ოსტატი ა. კაიდანოვი (ყველანი — საბჭოთა კავშირი), 6. საერთაშორისო ოსტატი ს. მაკდონალდი (ინგლისი), 7. საერთაშორისო ოსტატი ო. ფოიშორი (რუმინეთი), 8. საერთაშორისო ოსტატი ე. უბილავა, 9. მსოფლიოს ექსჩემპიონი ბ. ტალი, 10. საერთაშორისო ოსტატი ზ. აზმაიფარაშვილი, 11. საერთაშორისო ოსტატი ვ. მალანიუკი (ყველანი — საბჭოთა კავშირი), 12. საერთაშორისო ოსტატი ა. პეკარეკი (ჩეხოსლოვაკია), 13. დიდოსტატი გ. ზაიჩიკი (საბჭოთა კავშირი), 14. საერთაშორისო ოსტატი ტ. კაროლი (უნგრეთი).

ვიქტორ გოგლიძის მემორიალი მეშვიდედ ეწყობა და, როგორც ყოველთვის, კარგი შემადგენლობა შემოიკრიბა. პირველად იგი 1969-1970 წლებში გაიმართა და ორი გამარჯვებული ჰყავდა: მსოფლიო ექსჩემპიონი მიხეილ ტალი და ბუხუტი გურგენიძე, რომელსაც ამ წარმატებისათვის დიდოსტატის წოდება მიენიჭა. II მემორიალი 1971 წელს მოეწყო. პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ედუარდ გუფელდმა და ბაქოელმა საერთაშორისო ოსტატმა ვლადიმერ ბაგიროვმა. III მემორიალში (1974 წელი) ერთპიროვნული გამარჯვებული კვლავ ვერ გამოვლინდა, პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს გუფელდმა და საერთაშორისო ოსტატმა თამაზ გიორგაძემ. IV მემორიალში (1977 წელი) თამაზ გიორგაძემ უკვე დიდოსტატ რატმირ ხოლმოვთან (მოსკოვის ოლქი) გაიყო პირველი-მეორე ადგილი. 1980 წელს V მემორიალს უკვე ერთპიროვნული გამარჯვებული ჰყავდა — გუფელდი. იგივე ითქმის VI მემორიალზე (1983 წელი), რომელშიც პირველი პრიზი ვალენიუსელ დიდოსტატ ვიქტორ გაერიკოვს დარჩა.

მაშ ასე, სტარტი მიეცა მორიგ, VII მემორიალს.

**გ. გამრეკელი.**

## საკურნირო ორბიტა

**ძალოსნობა.** სოფიაში დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატზე 110 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ოქროს მედალს დაეუფლა საბჭოთა სპორტსმენი ი. ზახარევიჩი, რომელმაც 3 მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ორეულიში — 447,5 კგ, ატაცში — 201 კგ, აკვრაში — 248 კგ. სუპერმძიმე წონაში უძლიერესი იყო ბულგარელი ათლეტი ა. ტრისტევი — 460 კგ. მანვე ატაცში მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა — 215 კგ. გუნდური პირველობა მოიპოვეს ბულგარელებმა (7 ოქროს მედალი). საბჭოთა მძლეოსნები მხოლოდ 2 ოქროს მედალს დაეუფლნენ, რუმინელები — ერთს.

**კალათბურთი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელდება სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების ტურნე. მორიგი მატჩი საბჭოთა კალათბურთელებმა ქალაქ ისტლანსინგში გამართეს მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 116:107. ჩვენმა კალათბურთელებმა უკვე 11 შეხვედრა გამართეს და აქედან 7 მოიგეს.

**ფუალბურთი.** მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშების ბოლო ეტაპის მატჩები. მოსკოვის დინამოელებმა საუკეთესო ოთხეულში 6 ქულა დაგროვეს და პირველი ადგილი მოიპოვეს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის წარმომადგენლები — 4 ქულა და ალმაათელი დინამოელები — 2. კიევის „დინამომ“ ვერც ერთი ქულა ვერ მოიპოვა და მეოთხე ადგილზე დარჩა.

**ფეხბურთი.** უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 29-ე ტურის მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: მოსკოვის „დინამო“-„ნეფთჩი“ — 2:1, „ჩერნომორეცი“-თბილისის „დინამო“ — 1:3, „დნეპრი“-ქუთაისის „ტორპედო“ — 2:0, „სპარტაკი“-„არარატი“ — 6:2, მინსკის „დინამო“-„ზენიტი“ — 1:2, მოსკოვის „ტორპედო“-„მეტალისტი“ — 1:0; კიევის „დინამო“-„ძალგრირისი“ — 0:3. ახლა ლიდერთა სამეულში არიან მოსკოვის „დინამო“ — 36 ქულა, „სპარტაკი“ — 35 და „ზენიტი“ — 33. „შახტიორსა“ და თბილისის „დინამოს“ 31-31 ქულა აქვთ.


**რედაქტორი**

**გ. ბედინეიშვილი.**



**დაიცავით სახანძრო უსაფრთხოების წესები!**

**სამრეწველო** საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ხელმძღვანელებო! დადგა ზამთრის გათბობის სეზონი. ამ პერიოდში საჭიროა სახანძრო უსაფრთხოების მკაცრი დაცვის უზრუნველყოფა თქვენს ობიექტებზე. გახსოვდეთ! ხანძრები ინტენსიურად სწორედ ზამთარში ჩნდება. მათ დიდი მატერიალური ზარალი, ზოგჯერ კი მსხვერპლიც მოსდევს. პასუხისმგებელმა პირებმა უნდა გაახარჯიელონ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, შეამოწმონ გათბობის სისტემები, მოაწესრიგონ ელექტრონეურნეობა ნორმებისა და ხანძრისაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადვილად აალებადი ნივთიერებების დაცვას, სახანძრო და ხანძრის ჩასაქრობ პირველადს საშუალებათა ინვენტარის მოწესრიგებას, მეხანძრეთა ნებაყოფლობითი რაზმის ჩამოყალიბებას და სწავლებას.

განუხრელად შეასრულეთ სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მოთხოვნები!

გახსოვდეთ: თვითნაკეთი ელექტროღუმელების გამოყენება ხანძარს იწვევს!

**მშობლებო, მასწავლებლებო, აღმზრდელებო! ნუ მიატოვებთ ბავშვებს უმეთვალყურეოდ!**

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის საშმართველო.**



**ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ**

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ**

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

**რედაქცია:**

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტ ულ-ენინური თეორიის პროპაგანდის — 98-95-20, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტ ი ს — 98-20-84, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ფელეტონის — 98-22-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციი ი ს — 99-60-21, მუშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

**საკორესპონდენტო პუნქტები**

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ყუთაისი — 5-26-86; რუსთავი — 14-27-87; ბორი — 2-38-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-09; წითელწყარო — 28-66; ტყიბული — 25-82.



**ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ**

**18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ**

**პირველი პროგრამა.** 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მხატვრული ტელეფილმი „მიხაილო ლომონოსოვი“. I სერია. 10.45 — „გამოგვეხმაურეთ მებუკეებო!“ 11.15 — აშკარა — დაუჯერებელი. 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.30 — ბ. ბ. კუსტოდიევი წერილებსა და მოგონებებში. 17.15 — ახალი ამბები. 17.20—კონცერტი. 17.45 — „რისგან და რატომ“. გადაცემა ბავშვებისათვის. 18.15 — ს. რახმანინოვის საფორტეპიანო მინიატურები. 18.35 — კინოპროგრამა ინდოეთის შესახებ